83
ჯ-63

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ჭოლაძე

დრო როგორც გმირი თ. მანის რომანში „ჯადოსნური მთა“

10.01. 05/ევროპისა და ამერიკის
ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2002

83 -1852-
ჭ-63 ჭოლაძე
დრო როგორც გმირი თ. მანის
რომანში „ჯადოსნური მთა"
-1852-

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ჭოლაძე

დრო როგორც გმირი თ. მანის რომანში „ჯადოსნური მთა"

10.01. 05/ევროპისა და ამერიკის
ხალხთა ლიტერატურა

-1852

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

Библиотека
Тбилисского гос. педагогического [illegible]
иностранных языков
им. И. [illegible]

თბილისი
2002

ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ კაკაბაძე

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო ფირცხალავა
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი ზურაბ ჩხენკელი

დისერტაციის დაცვა შედგება 2002წ „17“ მაისს 16 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს (P 10.05 №4)სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №36

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მისამართი: უნივერსიტეტის ქუჩა, №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წ. „12“ აპრილ

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი (რ. ციხითათრიშვილი)

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

XX საუკუნის მრავალფეროვან საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ მოვლენებს ესთეტიკის სფეროში უზარმაზარი ძვრები ახლდა თან, რამაც თანამედროვე რომანში თავისი ასახვა ჰპოვა.

გერმანული რომანის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს XX საუკუნის 20-იანი წლები, როდესაც მასში გაძლიერდა ის ესთეტიკური ელემენტები, რაც ნაკლებად ახასიათებდა ეპოსის კლასიკურ ფორმებს. მომძლავრდა ექსპრესიული, ლირიული, ესეისტური ნაკადები, გაფართოვდა პრობლემათა ქსელი, შეიცვალა ხასიათები, გაჩნდა ტერმინი „ინტელექტუალური რომანი“. იგი გულისხმობდა ნაკლებ დინამიზმს ძალზე დაძაბული შინაგანი სულიერი ძვრების ფონზე. მას ჰქონდა ის დამახასიათებელი თვისება, რაც საერთოდ გამოარჩევდა გერმანულ რომანს სხვა ევროპული ქვეყნების რომანის კლასიკური ტრადიციებისაგან: ეს იყო კონცენტრირება პიროვნების სულიერ ძიებაზე, მისი შინაგანი ცხოვრების ისტორიის აღწერა, ინტერესი ინტელექტუალური სამყაროსადმი.

„ინტელექტუალური რომანის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოდელია 1924 წელს გამოქვეყნებული „ჯადოსნური მთა“, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული თომას მანის შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რომანად. მასში ნათლადაა გამოკვეთილი ახალი ტიპის რომანის სტრუქტურული თავისებურებანი. აქ არსებითია არა თხრობითი, არამედ ფილოსოფიურ-ანალიტიკური ელემენტი.

XX საუკუნის რომანის თხრობის ტექნიკაში დროის ელემენტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. აქ ხდება ტრადიციული რომანის ექსტენსიური დროის შეკუმშვა, მისი გადაქცევა ინტენსიურ დროდ და, ბოლოს, მისი სრულიად გაქრობა. მოდერნისტული ესთეტიკა ამსხვრევს ტრადიციული რომანის ფორმას, რაც რომანის ეპიკურ სტრუქტურაში ყველა კომპონენტის ცვლილებას ნიშნავს. თუკი კლასიკურ რომანში სუბიექტური და ობიექტური დროების განზომილებები ერთმანეთს თანხვდებოდა, XX საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული ეს ჰარმონია თანდათან ირღვევა, ხდება პირადული, სუბიექტური დროის „ამოვარდნა“ არსებული მთლიანობიდან და მისი ქცევა ასახვის ობიექტად. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი სადისერტაციო